ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 26 აპრილის №24.242311623 ბრძანებით დამტკიცებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის

სხდომის ოქმი N9

ზუგდიდი, 03 აგვისტო 2023 წელი

სხდომის ადგილი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.
სხდომის დაწყების დრო 10:00 საათი.

დღის წესრიგი

1. გიორგი ბუკიას განცხადების განხილვა

განსახილველად შემოგვაქვს გიორგი ბუკიას განცხადება (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N: 19/242319828-24, N:19/242320226-24,242320673-24,19/242321488-24), რომლის გუნდის (გუნდის შემადგენლობა გიორგი ბუკია, გიორგი ზარანდია, გიგი მოლაშხია) სტარტაპმა "Track Life" ჰაკათონზე წარმოდგენილი 15 სტარტაპის იდეიდან „Track Life"-მა მოიპოვა დამსწრე საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა და შესარჩევი 4 ნომინაციიდან 3-ის მფლობელი გახდა.

მუხლი 8. საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და ტექნოლოგიურ სფეროებში განსაკუთრებული შესაძლებლობების და მიღწევების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ფულადი ჯილდოს გაცემა;

2. მარიამ ჩუხუას განცხადების განხილვა

განსახილველად შემოგვაქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მარიამ ჩუხუას განცხადებები (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:19/2423186107-24, N:19/242321398-24,) მარიამი მონაწილეობას ღებულობს 2023 წლის ენოტეს ყოველწლიურ შეხვედრაზე ესპანეთში, რომელიც გაიმართება 26-28 ოქტომბერს. მარიამი ითხოვს ესპანეთში მგზავრობის ფინანსურ ხელშეწყობას.

მუხლი 7. არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა

სხდომის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის წევრი- კომისიის მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **ზამირა ღადუა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
- **კობა ჯიქია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

- **ნინო სიჭინავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **მამუკა ბულია** - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრლებელი-კომისიის წევრი;
- **მაგდალინა თოდუა-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის -ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა:

- **იდა ქვარაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

• **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

• **ნათია ფიფია** - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი - კომისიის წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხიები.

პირველ საკითხად მოისმინეს: გიორგი ბუკიას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- Smart City Zugdidi ჰაკათონის-ის გამარჯვებული გუნდის სტარტაპმა "Track Life" ჰაკათონზე წარმოდგენილი 15 სტარტაპის იდეიდან „Track Life"-მა მოიპოვა დამსწრე საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა და შესარჩევი 4 ნომინაციიდან 3-ის მფლობელი გახდა. ჩვენს დებულებაში გათვალისწინებული არის ფულადი ჯილდო ტექნოლოგიურ სფეროში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით. გიორგის და მის გუნდს მხარს ვუჭერ მიიღონ ფულადი ჯილდო.

ზამირა ღადუა - გიორგი წარმატებული ახალგაზრდაა და მისი მიღწევები ტექნოლოგიურ სფეროში მნიშვნელოვანია და პრიორიტეტულია ახალგაზრდებში. გიორგის და მის გუნდს ვუსურვებ წარმატებებს.

მეორე საკითხად მოისმინეს: მარიამ ჩუხუას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

გიგლა სულამანიძე- მარიამი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდაა. ის მიემგზავრება ენოტეს 27-ე ყოველწლიურ კონფერენციაზე მოხსნების წარსადგენად. ვუსურვებ წარმატებულ გამოსვლას მარიამს და მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად, გამარჯვებული გუნდის "Track Life"-ის თითოეულ წევრს (გუნდის შემადგენლობა გიორგი ბუკია, გიორგი ზარანდია, გიგი მოლაშხია) გამოეყოს ფულადი ჯილდო, ხოლო მარიამ ხვიჩიას ესპანეთში მგზავრობისთვის გამოეყოს ერთჯერადი ფულადი დახმარება.

გადაწყვეტილება:

1. გიორგი ბუკიას გამოეყოს ფულადი ჯილდო 665 (ექვსას სამოცდახუთი) ლარი.
2. გიორგი ზარანდიას გამოეყოს ფულადი ჯილდო 665 (ექვსას სამოცდახუთი) ლარი.
3. გიგი მოლაშხიას გამოეყოს ფულადი ჯილდო 665 (ექვსას სამოცდახუთი) ლარი.
4. მარიამ ჩუხუას მგზავრობისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1332 (ერთი ათას სამასოცდათორმეტი) ლარი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა

ნინო სიჭინავა

ზამირა ღადუა

მამუკა ბულია

კომისიის წევრები:

ია ეხვაია

კობა ჯიქია

გიგლა სულამანიძე

მაგდალინა თოდუა

მდივანი: ბელა ხუბუა